# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" და „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" და „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტები.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 18 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

– ლევან ბეჟაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

– ზურაბ ადეიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორი;

– კახაბერ ბარათაშვილი – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე;

– გიორგი ბოკერია – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

– ვალერიან გელბახიანი – საქართველოს პარლამენტის წევრი;

– ნიკოლოზ გვარამია – საქართველოს პარლამენტის წევრი;

– ანა დოლიძე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე;

– ლევან იზორია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-ტროს პოლიციის აკადემიის რექტორი;

– ნინო კალანდაძე – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

– პავლე კუბლაშვილი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

– კონსტანტინე **კუბლაშვილი** – საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარების და რეფორმების ფონდის დირექტორი;

– ქეთევან მახარაშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი;

– ივანე მერაბიშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

– გიორგი პაპუაშვილი – საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

– ნუგზარ შოშიაშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი;

– გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი;

– გიორგი ხუბუა – სამართლის ინსტიტუტის დირექტორი;

– გიორგი ხუროშვილი – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე

**თბილისი,**
**2004 წლის 22 დეკემბერი.**
**№716–რს**